განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

## ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

## შპს „კავკასიის უნივერსიტეტი“

შეფასების თარიღი: 25.11.2020
დასკვნის წარდგენის თარიღი: 21.12.2020

თბილისი

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 205050567 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა Georgian Language Preparation Educational Program |
| უმაღლესი განათლებისსაფეხური | - |
| მისანიჭებელიკვალიფიკაცია[2] | - |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | - |
| ზოგადიგანათლებისშესაბამისისაფეხურისსაგნის/საგნების/საგნობრივიჯგუფისსწავლებისუფლებისმითითება (მასწავლებლისმომზადებისინტეგრირებულისაბაკალავრო-სამაგისტროსაგანმანათლებლოპროგრამისანმასწავლებლისმომზადებისსაგანმანათლებლოპროგრამისშემთხვევაში) | - |
| სწავლების ენა | ქართული |
| ECTS კრედიტებისრაოდენობა | 60 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | ახალი |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

[1]ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში:მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2]უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთადერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | თინათინ კიღურაძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ხვთისო მამისიმედიშვილი, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |

## აკრედიტაციისექსპერტთაჯგუფისშემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

კავკასიის უნივერსიტეტის „ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის"მიზანია, ხელი შეუწყოს არაქართულენოვან აბიტურიენტებს სახელმწიფო ენის ათვისებასა და საუნივერსიტეტო სივრცეში ინეგრაციაში, ქართველ სტუდენტებთან თანაბარ პირობებში ჩაყენებას. პროგრამა შემუშავდა წინასწარ ჩატარებულ ბაზრის კვლევაზე დაყრდნობით, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის და აკადემიური პერსონალის სრული ჩართლობით.

პროგრამა მოიცავს 60 კრედის და გრძელდება 2 სემესტრის მანძილზე. მისი დასრულების შედეგად სტუდენტმა უნდა შეძლოს სწავლის გაგრძელება ამავე უნივერსიტეტის საბაკალავრო საფეხურზე, ასევე, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო ან დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო ქართულენოვან პროგრამაზე.

ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მშობლიურ ენაში ზოგადი უნარების გამოცდის წარმატებით ჩაბარების შედეგად უნივერსიტეტში ჩარიცხული სტუდენტები პრეტესტის შედეგად გადანაწილდებიანA და B ბლოკებში. ბლოკებად დაყოფის მიზანი არის, შედარებით ნაკლები წინარე ცოდნის მქონე სტუდენტები, უფრო ინტენსიური ენის კურსების საშუალებით, მიუახლოვდნენ ენის ფლობის დონით მეორე ბლოკის სტუდენტებს, რათა მეორე სემესტრიდან ერთად გაიარონ კურსები.

პროგრამის ძლიერი მხარეა, რომ იგი ენის სწავლების პარალელურად, ინტერკულტურული კომპეტენციის განვითარებას ისახავს მიზნად, პროფესიულ ორიენტაციას უწყობს ხელს დარგობრივი პრაქტიკის სახით და დარგობრივი ენის კურსების მეშვეობით, დარგობრივი ლექსიკისა და ტერმინოლოგიის ათვისებისსახით, ამზადებს სტუდენტებს აკადემიური საფეხურის ლექცია-სემინარების უკეთ გაგებისა და დაძლევისთვის.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

კავკასიის უნივერსიტეტში აკრედიტაციისვიზიტიგაიმართაონლაინფორმატში 2020წლის25 ნოემბერს. ექსპერტთა ჯგუფი შედგებოდა ორი წევრისგან (შემადგენლობაიხ. გვ.2-ზე). განათლებისხარისხისგანვითარებისეროვნულიცენტრისმხრიდან ვიზიტს კოორდინირებასუწევდათამთა ანთიძე. უნივერსიტეტშისამუშაოპროცესიდატვირთულისამუშაოდღისრეჟიმშიწარიმართა.

უნივერსიტეტისწარმომადგენლებმა შეუქმნებს სამუშაო ჯგუფს ხელსაყრელი პირობები. დღისწესრიგითდაგეგმილიყველაშეხვედრაშედგა. მატერიალურ-ტექნიკურიბაზისდათვალიერება მოხდა ვიდეოჩანაწერის სახით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

საგანამანათლებლო პროგრამა აკმაყოფილებს ხუთივე სტანდარდტს.

უნდა აღინიშნოს, რომ შპს კავკასიის უნივერსიტეტში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის კარგად გამართული შიდა მექანიზმები, პროგრამა შემუშავდა ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის სრული ჩართულობით, გუნდური მუშაობის პრინციპზე დაყრდნობით. ეს ყოველივე უზრუნველყოფს პროგრამის განვითარებასა და გაუმჯობესებაზე მუდმივ ზრუნვას.

პროგრამა ყველა სტანდარტში აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

ცალკეულ შემთხვევებში შემოთავაზებულია რჩევები პროგრამის შემდგომი დახვეწისთვის.

- **რეკომენდაციები**

რეკომენდაციები არ არის.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- უმჯობესია, პროგრამისმისაღწევენობრივმიზნადენისფლობისზუსტიდონისგანსაზღვრა „ქართულიენისფლობის დონეებისაღწერილობის“ დოკუმენტისმიხედვით (მაგ, B1, B2, მისთ.). (იხ. საქართველოსმთავრობისმიერ394-ედადგენილებით 2020 წლის 30 ივნისსდამტკიცებულიდოკუმენტი (დანართი 4), რომლისგამოყენებასავალდებულოაქართულიენისსწავლის, სწავლებისადაშეფასებისკანონმდებლობითგანსაზღვრულყველაშემთხვევაში: „ქართულიენისფლობისდონეებისზოგადიაღწერილობამოიცავსიმკრიტერიუმთაერთობლიობას, რომლითაცგანისაზღვრებაქართულიენისფლობამოსმენის, კითხვის, მეტყველებისადაწერისშესაბამისიდონისმიხედვით. დოკუმენტიშესრულებულიაენათასწავლის, სწავლებისადაშეფასებისრეკომენდაციათასაერთოევროპულიჩარჩოსექვსდონიანისისტემის – A1, A2, B1, B2, C1, C2 – საფუძველზე. დოკუმენტისმიზანია, ქართულიენისსწავლის, სწავლებისადაშეფასებისერთიანი, უნიფიცირებულისისტემისდანერგვა. ქართულიენისფლობისდონეებისზოგადიაღწერილობასავალდებულოაქართულიე**ნის სწავლის, სწავლებისადაშეფასებისკანონმდებლობითგანსაზღვრულყველაშემთხვევაში.**“ (https://matsne.gov.ge/ka/document/view/4908418?publication=0&scroll=545&fbclid=IwAR00-k4__sSXm-nZlX6edkj3DxFsad-0QkPktRtK5ytoD-f2otISNM4SiJQ, დანართი 4).

- სასურველია, პროგრამის მისაღწევი ენობრივი შედეგებიც განისაზღვროს „ქართული ენის ფლობის დონეების ზოგადი აღწერილობის“ დოკუმენტის მიხედვით, რათა ისინი იყოს უფრო ნათლად ჩამოყალიბებული და გაზომვადი.
- სასურველია, პროგრამაში უფრო ნათლად განისაზღვროს თითოეულ სემესტრში მისაღწევი ენის ფლობის დონე, რაც შესაბამისად აისახება თითოეულ სილაბუსში და უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას გაზომვადი ინდიკატორების საშუალებით.
- სასურველია, პროგრამის კურსებისა და სილაბუსების შინაარსისა და მისაღწევი შედეგების მისადაგება „ქართული ენის ფლობის დონეების ზოგადი აღწერილობის“ დოკუმენტთან, შეფასების უფრო დახვეწილი და გაზომვადი ინდიკატორების გამოყენებით.
- სასურველია, ენის პრაქტიკაში გამოყენების ელემენტები (როგორც რეალური, ასევე რეალურთან მიახლოებული, სიმულაციური სიტუაციების სახით) უფრო მეტი ინტენსივობით იყოს გათვალისწინებული სასწავლო კურსებსა და სილაბუსებში.
- სასურველია, გადაიხედოს სილაბუსები და ერთიანად შემუშავდეს სწავლების თანამედროვე მეთოდები ცალკეული დონისა და შინაარსის სილაბუსებისთვის სტუდენტის მიერ ენის რეალურად გამოყენების კომპეტენციის მიღწევის უზრუნველსაყოფად.
- სასურველია, გაიწეროს განმავითარებელი შეფასების გამოყენება სილაბუსის დონეზე, რათა სტუდენტს მუდმივად მიეცეს უკუკავშირი მისს ენობრივ პროგრესთან დაკავშირებით.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)
  - ბაზრის კვლევა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მარკეტინგის სპეციალისტის მიერ - „პროგრამის შექმნის წინაპირობები“.
  - აზერბაიჯანულენოვანი უმცირესობის წარმომადგენელი ადმინისტრაციაში და მზაობა, საჭიროების შემთხვევაში, ადმინისტრაციაში სომხურენოვანი პერსონალის დასაქმების.
  - პირველ სემესტრში მნიშვნელოვანი ინფორმაციის მშობლიურ ენაზე მიწოდება.
  - სტუდენტთა კითხვარების ინდივიდუალურად დამუშავება ხარისხის სამსახურის მიერ;
  - პირველ სემესტრში ენობრივი ბარიერის გამო კურსის ევალუაციის კითხვარების მიწოდება სტუდენტების მშობლიურ ენებზე.
  - დარგობრივი პრაქტიკა უნივერსიტეტს მიღმა, ქართველი სტუდენტების ტუტორებად ჩართვა.

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა(ასეთის არსებობის შემთხვევაში)

# პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლოპროგრამისმიზანი, სწავლისშედეგებიდამათთანპროგრამისშესაბამისობა**

   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
|---|
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი**<br><br>პროგრამის მიზნები ჩამოყალიბებულია დარგობრივი მახასიათებლის დოკუმენტთან თანხვედრაში. პროგრამის მთავარი მიზანია არაქართულენოვანმა აბიტურიენტებმა მიიღონ ქართულ ენაში „მინიმალური ენობრივი კომპეტენცია, რათა პროგრამის დასრულების შემდეგ მოიპოვონ სწავლის გაგრძელების უფლება კავკასიის უნივერსიტეტის საბაკალავრო საფეხურზე, ნებისმიერი სპეციალობით (იხ. თვითშეფასების ანგარიში, გვ.11, და პროგრამა, გვ.4), რაც შესაბამისობაშია პროგრამის მისიასთან, რომელიც გულისხმობს არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის„თანაბარი სასტარტო პირობების შექმნას და სხვა აბიტურიენტებთან თანაბარ და სამართლიან პირობებში ჩაყენებას“ (თვ. ანგ. გვ.11).<br>უსდ ვიზიტისას რექტორთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან შეხვედრაზეც გამოიკვეთა, მათთვის ამოსავალი არის სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობაში საკუთარი მცირედი წვლილის შეტანა და არა ფინანსური მოგება ამ მცირე მოცულობის პროგრამიდან, რომელიც საწყის ეტაპზე მხოლოდ 15 სტუდენტზეა გათვლილი.<br>აღსანიშნავია, რომ კავკასიის უნივერსიტეტის მარკეტინგის განყოფილების აზერბაიჯანულენოვანი სპეციალისტის მიერ გაკეთდა ბაზრის კვლევა, თუ რამდენად მოთხოვნადია პროგრამა აზერბაიჯანულ და სომხურენოვან აბიტურიენტებში. ადმინისტრაციისა და პროგრამის ხელმძღვანელები, ისევე როგორც ლექტორები, საკმაოდ კარგად იცნობენ სამიზნე აუდიტორიას და მათ საჭიროებებს, შესაბამისად ადეკვატურად არის შემუშავებული პროგრამის მისია და მიზნები.<br>პროგრამის აღწერილობაში მოცემულია და პროგრამის ხელმძღვანელებთან / „განათლების სკოლის“ ადმინისტრაციასთან ინტერვიუებმაც ცხადჰყო, რომ პროგრამის |

მიზანი არა მხოლოდ ენის დაუფლებაა, არამედ არაქართულენოვანი სტუდენტების საუნივერსიტეტო და სამოქალაქო საზოგადოებაში ინტეგრირებაცაა ინტერკულტურული კომპეტენციის განვითარების საშუალებით, ისევე, როგორც საუნივერსიტეტო სივრცეში მრავალფეროვანი კულტურული გარემოს შექმნისთვის მზაობა (იგულისხმება ეთნიკური უმრავლესობის წარმომადგენელი ქართველი სტუდენტებითან უმცირესობების წარმომადგენელი სტუდენტების ინტეგრირება), რაც წარმოადგენს პროგრამის ძლიერ მხარეს და ეხმიანება უნივერსიტეტის მისიას, კერძოდ „კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური, ზნეობრივად სრულყოფილი, დემოკრატიის იდეალების ერთგული სპეციალისტების მომზადებასა და საზოგადოების საგანმანათლებლო-საკონსულტაციო მოთხოვნების დაკმაყოფილებას“.

პროგრამის მიზნები ჩამოყალიბებულია იმდენად ნათლად, რამდენადაც ეს მოცემულია ქართულ ენაში მომზადების პროგრამის დარგობრივი მახასიათებლის დოკუმენტში. თუმცა, პროგრამის დასახვეწად უმჯობესია ენობრივი მიზნის ფორმულირებაში ე.წ.„მინიმალური კომპეტენციის“ დაკონკრეტება (კერძოდ, B1, B2 თუ სხვა) „ქართული ენის ფლობის ზოგადი აღწერილობის“ დოკუმენტზე დაყრდნობით.ეს დოკუმენტი მოიცავს „იმ კრიტერიუმთა ერთობლიობას, რომლითაც განისაზღვრება ქართული ენის ფლობა მოსმენის, კითხვის, მეტყველებისა და წერის შესაბამისი დონის მიხედვით. დოკუმენტი შესრულებულია ენათა სწავლის, სწავლებისა და შეფასების რეკომენდაციათა საერთო ევროპული ჩარჩოს ექვსდონიანი სისტემის – A1, A2, B1, B2, C1, C2 – საფუძველზე. დოკუმენტის მიზანია, ქართული ენის სწავლის, სწავლებისა და შეფასების ერთიანი, უნიფიცირებული სისტემის დანერგვა. ქართული ენის ფლობის დონეების ზოგადი აღწერილობა სავალდებულოა ქართული **ენის სწავლის, სწავლებისა და შეფასების კანონმდებლობით განსაზღვრულ ყველა შემთხვევაში.**“ (https://matsne.gov.ge/ka/document/view/4908418?publication=0&scroll=545&fbclid=IwAR00-k4__sSXm-nZlX6edkj3DxFsad-0QkPktRtK5ytoD-f2otISNM4SiJQ, დანართი 4).

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში
- პროგრამა
- უნივესტიტეტის მისია
- დარგობრივი მახასიათებელი
- ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან

| |
|---|
| ○ პროგრამის შექმნის წინაპირობები |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>• უმჯობესია, პროგრამისმისაღწევენობრივმიზნადენისფლობისზუსტიდონისგანსაზღვრა „ქართულიენისფლობის დონეებისაღწერილობის“ დოკუმენტისმიხედვით (მაგ, B1, B2, მისთ.). (იხ. საქართველოსმთავრობისმიერ394-ედადგენილებით 2020 წლის 30 ივნისსდამტკიცებულიდოკუმენტი (დანართი 4), რომლისგამოყენებასავალდებულოაქართულიენისსწავლის, სწავლებისადაშეფასებისკანონმდებლობითგანსაზღვრულყველაშემთხვევაში: „ქართულიენისფლობისდონეებისზოგადიაღწერილობამოიცავსიმკრიტერიუმთაერთობლიობას, რომლითაცგანისაზღვრებაქართულიენისფლობამოსმენის, კითხვის, მეტყველებისადაწერისშესაბამისიდონისმიხედვით. დოკუმენტიშესრულებულიაენათასწავლის, სწავლებისადაშეფასებისრეკომენდაციათასაერთოევროპულიჩარჩოსექვსდონიანისისტემის – A1, A2, B1, B2, C1, C2 – საფუძველზე. დოკუმენტისმიზანია, ქართულიენისსწავლის, სწავლებისადაშეფასებისერთიანი, უნიფიცირებულისისტემისდანერგვა. ქართულიენისფლობისდონეებისზოგადიაღწერილობასავალდებულოაქართულიე**ნისსწავლის, სწავლებისადაშეფასებისკანონმდებლობითგანსაზღვრულყველაშემთხვევაში.**“ (https://matsne.gov.ge/ka/document/view/4908418?publication=0&scroll=545&fbclid=IwAR00-k4__sSXm-nZlX6edkj3DxFsad-0QkPktRtK5ytoD-f2otISNM4SiJQ, დანართი 4). |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**<br><br>○ https://www.coe.int/en/web/common-european-framework-reference-languages/level-descriptions<br>ენების სწავლა-სწავლების საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩო-დოკუმენტი |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებულიპროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☑შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

## 1.2პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს, რომლებიც ეყრდნობა დარგობრივ მახასიათებელს. შესაბამისად, გათვალისწინებულია ის ძირითადი ცოდნა უნარები და ავტონომიური სწავლის ელემენტები, რომლებიც მოცემული დარგობრივი მახასიათებლის დოკუმენტში: კერძოდ, ენობრივი, ინტერკულტურული და სწავლის სწავლის კომპეტენციები.

პროგრამის აღწერილობაში ჩამოთვლილია მისაღწევი შედეგების 5 სფერო: ლინგვისტური, სოციოლინგვისტური, დისკურული, სოციოკულტურული და ინტერკულტურული კომპეტენციები. ყველა მათგანი აუცილებელია ენის ფლობის გარკვეული დონის მისაღწევად ენის სხვადასხვა სფეროში გამოყენების მიზნით. გამოკვეთილია, ასევე, სხვადასხვა ენობრივი უნარ-ჩვევები (მოსმენა, კითხვა, წერა, ლაპარაკი):

**შედეგი** 1. სტუდენტს აქვს ენობრივი (ლინგვისტური) კომპეტენცია - ლექსიკურიმარაგისსინტაქსურიდამორფოლოგიურიწესებისგამოყენებით, გააზრებულგამოთქმებ ად. გარდაქმნის დააგებს კონსტრუქციებს ქართულიენისნორმების მიხედვით (ლაპარაკი, მოსმენა, წერა, კითხვა).

**შედეგი2.** სტუდენტს აქვს სოციოლინგვისტური კომპეტენცია (ლაპარაკი, მოსმენა) და ენობრივფორმებს,კონტექსტისშესაბამისად,შეარჩევსდაგამოიყენებს(ვინ, ვისთან, სად, რისგამო, რამიზნითამყარებსურთიერთობას), ლინგვოპრაგმატიკის წესების გათვალისწინებით.

**შედეგი3.** სტუდენტს აქვს დისკურსული კომპეტენცია - ერკვევა ზეპირიდაწერილობითიტექსტისსტრუქტურაში,მისნაწილებსშორისკავშირსიგებსდაიაზრებს (მოსმენა, წერა, კითხვა); იცის დისკურსის ზოგადი წესები.

**შედეგი4.**სტუდენტს აქვს სოციოკულტურულიკომპეტენცია: არსებულ სოციოკულტურულგარემოშითავისუფლადორიენტირებს -აზრსგამოთქვამს, კამათობს, დისკუსიას წარმართავსდაიყენებს პრეზენტაციისსტრატეგიებს(წერა, კითხვა, მოსმენა, ლაპარაკი) ქართულ სოციუმში დამკვიდრებული სტანდარტების დაცვით.

**შედეგი5.** სტუდენტს აქვს ინტერკულტურული კომპეტენცია - აქვს მზაობა იცხოვროს მრავალფეროვან სამყაროში და პოზიცია ეთიკის ნორმების დაცვით გამოხატოს (წერა, კითხვა, მოსმენა, ლაპარაკი).

სასურველია, პირველი 4 კომპეტენციების შედეგებში დაკონკრეტდეს ენის ფლობის რომელი დონის ფარგლებში უნდა იყოს მიღწეული მოცემული კომპეტენციები და დაკონკრეტდეს შეფასების ინდიკატორები, მაგ. ტექსტების/ენობრივი ქმედებების მითითებით, განისაზღვროს მათი სირთულის დონე, ასევე, დიფერენცირებული იყოს მისაღწევი კომპეტენციები თითოეულ ენობრივ უნარ-ჩვევაში (მოსმენა, კითხვა, წერა, ლაპარაკი), რათა შედეგები გაზომვადი იყოს.

მაგალითად, ზოგადიაშეფასების ინდიკატორი 1.2 („თანმიმდევრულადიყენებსსახელმწიფოენაზელექსიკურერთეულებსდააყალიბებსგააზრებ ულწინადადებებსზეპირადდაწერილობით; გააზრებულადკითხულობს/იგებსენობრივიკომპეტენციისფარგლებში“), რადგან არ არის განსაზღვრული რომელი დონის/ რა სირთულის ენობრივი ქმედებების ფარგლებში უნდა ფლობდეს სტუდენტი აღწერილ ენობრივ ქმედებას - შესაძლოა, ის თანამიმდევრულად იყენებდეს ლექსიკურ ერთეულებს და აყალიბებდეს გააზრებულ წინადადებებს მხოლოდ A2 დონის ფარგლებში, რაც არ არის საკმარისი აკადემიური დისციპლინის დასაუფლებლად.

გაზომვადი შედეგების და შეფასების ინდიკატორების შემუშავება ბევრად გაადვილდება, თუ პროგრამა დაეყრდნობა „ქართული ენის ფლობის დონეების აღწერილობის“ დოკუმენტს, რომელშიც დეტალურად არის აღწერილი ენის ფლობის თითოეული დონის მისაღწევი კომპეტენციები თითოეულ უნარ-ჩვევაში. ამ დოკუმენტზე დაყრდნობით გამარტივდება ასევე სტუდენტების კონკრეტული შედეგების გაზომვა.

პროგრამისსწავლისშედეგებისშეფასებაგათვალისწინებულიასტუდენტებისმოსწრებაზედაკ ვირვებითყოველწლიურად, მისიანალიზი, ასევე, სტუდენტებისინდივიდუალურიკითხვარებისდამუშავებაინდივიდუალურადხარისხისსამს ახურისთანამშრომლებისმიერსაჭიროოინტერვენციებისგანსახორციელებლადდასწავლისხარ ისხისგასაუმჯობესებლად:

„პროგრამის სწავლის შედეგების ევალუაცია განსაზღვრულია ყოველსემესტრულად და ყოველწლიურად,
პროგრამისსწავლისშედეგებისშეფასებისასგამოიყენებაროგორცპირდაპირი, ისეარაპირადპირიშეფასებისმეთოდები. პირდაპირი შეფასების მეთოდები ემყარება სტატისტიკურ მონაცემებს სავალდებულო კურსების სტუდენტების მოსწრების თაობაზე, კერძოდ, თუ 80% იღებს მინიმუმ 51 ქულას და შესაბამის კრედიტს ან თუ ჯგუფის საშუალო მოსწრება არის 80% და მეტი.
პროგრამისსწავლისშედეგებისშეფასებისარაპირადპირიმეთოდისინსტრუმენტებია:
პროგრამაზეჩარიცხულისტუდენტებისდინამიკა; პროგრამისდასრულებისმაჩვენებელი; პროგარამაზემობილობისმაჩვენებელი;დაინტერესებულიმხარეების (სტუდენტები,

| |
|---|
| აკადემიურიდამოწვეულიპერსონალი, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები) გამოკითხვისშედეგები (როგორცელექტრონული, ისე „მრგვალიმაგიდის“ პრინციპით). თითოეული სტუდენტის გამოკითხვის შედეგები მუშავდება ინდივიდუალურად და საჭიროების შემთხვევაში მოჰყვება შესაბამისი რეაგირება.“<br>მოცემულ პროგრამაზე სტუდენტთა გამოკითხვა პირველ სემესტრში დაგეგმილია მათ მშობლიურ ენაზე კითხვარების თარგმნის საშუალებით, ხოლო პროგრამის დასასრულს, მეორე სემესტრის ბოლოს - ქართულად.<br>აღნიშნულინსტრუმენტებზედაკვირვებახორციელდებაყოველწლიურადდაშეფასებისშედეგებზედაყრდნობითიგეგმებაშემდგომიგანვითარებისეტაპებიდარეაგირებისგზები. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>o დარგობრივი მახასიათებელი<br>o თვითშეფასების ანგარიში<br>o პროგრამა<br>o ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელებთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან.<br>o პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>o სასურველია, პროგრამის მისაღწევი ენობრივი შედეგებიც განისაზღვროს „ქართული ენის ფლობის დონეების ზოგადი აღწერილობის“ დოკუმენტის მიხედვით, რათა ისინი იყოს უფრო ნათლად ჩამოყალიბებული და გაზომვადი. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**<br><br>o სტუდენტთა კითხვარების ინდივიდუალურად დამუშავება ხარისხის სამსახურის მიერ;<br>o პირველ სემესტრში ენობრივი ბარიერის გამო კურსის ევალუაციის კითხვარების მიწოდება სტუდენტების მშობლიურ ენებზე. |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა |

| |
|---|
| ☑**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლოპროგრამისმიზანი, სწავლისშედეგებიდამათთანპროგრამისშესაბამისობა | √ | | | |

## 2. სწავლებისმეთოდოლოგიადაორგანიზება, პროგრამისათვისებისშეფასებისადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი**<br>პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობას წარმოადგენს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მშობლიურ ენაზე ზოგადი უნარების გამოცდაზე მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვა, რაც შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და გაწერილია დარგობრივი მახასიათებლის დოკუმენტში. შესაბამისად, უსდ არ არის უფლებამოსილი დამატებითი წიინაპირობები დააწესოს.<br>თუმცა, ჩარიცხვის შემდეგ უსდ ადგენს შემსწავლელთა წინარე ცოდნას ენაში და აჯგუფებს სტუდენტებს ე.წ. A და B ჯგუფებში, რომლებშიც განსხვავებული სირთულის |

კურსებია და მიზანია, A ბლოკი სტუდენტები ენობრივად გაუთანაბრონ B ბლოკის სტუდენტებს პირველი სემესტრის დასასრულს, რათა მეორე სემესტრში ერთიანი პროგრამა გაიარონ. მოცემული პროცედურა შეესაბამება დარგობრივ მახასიათებელში აღწერილ პროცედურა (იხ. დარგობრივი მახასიათებელი, „პროგრამაზე დაშვების განსაკუთრებული პირობები“).

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- ინტერვიუს შედეგები;
- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებელი.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათისრჩევებიპროგრამისგანვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

**☑შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

## 2.2საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის,

შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია.შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი**

კავკასიის უნივერსიტეტის „ქართულ ენაში მომზადების" საგანმანათლებლო პროგრამაშემუშავდა ამ უნივერსიტეტში არსებული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით, აკადემიური პერსონალისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლობის, მათ შორის განათლების სკოლის დეკანის უშუალო თანამონაწილეობით.

პროგრამა არის 60 კრედიტის მოცულობის და ერთი წლის ხანგრძლივობის. ის შედგება 23 სილაბუსისგან. პირველ სემესტრში გათვალისწინებული 6 ხუთკრედიტიანი კურსი A ბლოკისსტუდენტებისთვის და ასევე 6 განსხვავებული 5-კრედიტიანი კურსი B ბლოკის სტუდენტებისთვის. A ბლოკის კურსებში საკონტაქტო საათების რაოდენობა 20 საათით აღემატება Bბლოკის საკონტაქტო საათების რაოდენობას.

მეორე სემესტრში ბლოკებად დაყოფა აღარ არის გათვალისწინებული, ვინაიდან ამ დროისთვის თანაბარი ცოდნა უნდა ჰქონდეთ ორივე ბლოკის სტუდენტებს და გათვალისწინებული 5 სავალდებულო 5-კრედიტიანი კურსი და 1 სავალდებულო-არჩევითი დარგობრივი ენის კურსი. ყველა კურსი მოიცავს სემესტრში 15 საათის მოცულობის დარგობრივ პრაქტიკას უნივერსიტეტს გარეთ. დარგობრივი პრაქტიკის მიზანია, ხელი შეუწყოს სტუდენტის პროფესიულ ორიენტირებას და გაუადვილოს არჩევანი, ხოლო დარგობრივი კურსის მიზანის დარგისთვის დამახასიათებელი ლექსიკისა და კონსტრუქციების სწავლება, ისევე როგორც დარგზე წარმოდგენის შექმნა.

პროგრამის სტრუქტურა ლოგიკურია, თუმცა შინაარსობრივად სასურველია, განისაზღვროს თითოეულ სემესტრში მისაღწევი ენის ფლობის დონე, რაც შესაბამისად აისახება თითოეულ სილაბუსში და უზრუნვეჰყოფს დასახული მიზნების მიღწევას გაზომვადი ინდიკატორების საშუალებით.

პროგრამა კვალიფიკაციას არ ანიჭებს. კურსის წარმატების დასრულების შემდეგ სტუდენტს ენიჭება უფლება გააგრძელოს სწავლა საბაკალავროსაფეხურზე, ასევე, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო ან დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო ქართულენოვან პროგრამაზე.

| |
|---|
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>o საგანმანათლებლო პროგრამა;<br>o თვითშეფასების ანგარიში;<br>o ინტერვიუს შედეგები;<br>o დარგობრივი მახასიათებელი. |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>o სასურველია,პროგრამაში უფრო ნათლად განისაზღვროს თითოეულ სემესტრში მისაღწევი ენის ფლობის დონე, რაც შესაბამისად აისახება თითოეულ სილაბუსში და უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას გაზომვადი ინდიკატორების საშუალებით. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**<br><br>o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>o |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☑**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან |

| 2.3. სასწავლო კურსი |
|---|
| ➢ ძირითადი სფეროსთითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; |

➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი**

კავკასიის უნივერსიტეტის „ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა“ შედგება შემდეგი სასწავლო კურსებისაგან:

პირველი სემესტრი, A ბლოკი (1.1) /B ბლოკი (1.2):

- ქართული ენის სამეტყველო უნარები (მოსმენა) 1.1/1.2 - 5 კრ.
- ქართული ენის სამეტყველო უნარები (წერა) 1.1/1.2 - 5 კრ.
- ქართული ენის სამეტყველო უნარები, (კითხვა) 1.1/1.2 - 5 კრ.
- ქართული ენის სამეტყველო უნარები, (ლაპარაკი) 1.1/1.2 - 5 კრ.
- კომუნიკაციური გრამატიკა -1.1/1.2 - 5 კრ
- ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა 1.1/1.2 - 5 კრ

მეორე სემესტრი: სავალდებულო კურსები:

- ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა 2 - 5 კრ.
- ფუნქციური წერა - 5 კრ.
- ქართული ენის სამეტყველო უნარები (მოსმენა - ლაპარაკი)-2- 5 კრ.
- ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლება ლიტ. ტექსტების მიხედვით
- ტოლერანტობა და მრავალფეროვანი სამყარო (ენისა და საგნობრივი შინაარსის სწავლების ინტეგრირებული კურსი) - 5 კრ.

სავალდებულო-არჩევითი კურსებიწარმოდგენილია ენისა და საგნის შინაარსის ინტეგრირებულად სწავლების მეთოდოლოგიით შედგენილი 6 არჩევითი კურსით შემდეგ დარგებში:

- ჰუმანიტარული მეცნიერებები,
- განათლება და სოციალური მეცნიერებები/მედია და კინო ენა;
- ტექნოლოგიები;
- სამართალი, საერთაშორისო ურთიერთობები და სახელმწიფო მართვა;
- მედიცინა და ჯანდაცვა;
- სამართალი, საერთაშორისო ურთიერთობები და სახელმწიფო მართვა.

„ქართული ენის სამტყველო უნარების კურსები“ დაყოფილია ცალკეულ უნარებად, თუმცა მიზნებსა და შედეგებში ამ უნარ-ჩვევის განვითარება მარგინალურად არის მოცემული და ძირითადი ყურადღება ლექსიკის ან გრამატიკის ათვისებას ეთმობა, რაც აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა მოსმენის, კითხვის, წერის და ლაპარაკის უნარ-ჩვევების

ასათვისებლად.

მაგ. 1. კურსი „ქართული ენის სამეტყველო უნარები - მოსმენა 1.1“

*“სასწავლოკურსისმიზანია, სტუდენტებსგამოუმუშაოსმოსმენისადაქართულენაზემარტივიკომუნიკაციის (დაგეგმილიდადაუგეგმავი) უნარიშესაბამისისაკომუნიკაციოამოცანებისგადასაჭრელად. ასევე, მათთვისნაცნობთემებზეტექსტებისგაგება-გააზრებისუნარი.”*

დასაკონკრეტებელია, რა მოიაზრება „მარტივ კომუნიკაციაში“ და ენის ფლობის რომელ დონეზე უნდა შეძლოს შემსწავლელმა „შესაბამისი საკომუნიკაციო ამოცანების“ გადაჭრა.

პრობლემა ადვილად გადაიჭრება, თუ სასწავლო მიზნები განისაზღვრება „ქართული ენის ფლობის დონეების ზოგადი აღწერილობის“ დოკუმენტზე დაყრდნობით, რომელშიც კონკრეტულად არის ჩამოთვლილი მოსმენის უნარ-ჩვევაში ცალკეულ დონეზე მისაღწევი მიზნები.

მაგ. 2: იმავე კურსის სილაბუსიდან ( „ქართული ენის სამეტყველო უნარები - მოსმენა 1.1“):

*“ცოდნადაგაცნობიერებასტუდენტმაიცის:*

*•საბაზისოლექსიკურიერთეულებიყოფითილექსიკონისსიტუაციურთემებზესათანადოენობრივიკომპეტენციისფარგლებში.*

*•პროგრამითგათვალისწინებულიდააუდიოფაილებადგაწერილილექსიკურიერთეულებისძირითადიმნიშვნელობები*

*• მოსმენილიმარტივიქართულიტექსტებისძირითადიშინაარსი (მისთვისნაცნობთემებზე).*

*სტუდენტს შეუძლია:*

*• პროგრამითგათვალისწინებულისასრულირაოდენობისლექსიკურერთეულთამისმიერშეუსწავლელიკომბინაციებისაღქმა-გააზრება;*

*•მოსმენილიტექსტისმიხედვითსაბაზისოლექსიკურიერთეულებისიდენტიფიცირებასდადიფერენცირებასთავისიენობრივიკომპეტენციისფარგლებში.*

*• მარტივიპრობლემატიკისირგვლივაზრისმოსმენადასწორადფორმულირება.”*

მოსმენის კურსის 6 ინდიკატორიდან 4 ეხება ლექსიკური ერთეულების ათვისებას. მხოლოდ 2 ინდიკატორი ეხება მოსმენას, თუმცა აქედან მხოლოდ ერთი ეხება რეალურად მოსმენის, როგორც ტრანსფერული უნარ-ჩვევის განვითარებას (*მოსმენილიმარტივიქართულიტექსტებისძირითადიშინაარსი (მისთვისნაცნობთემებზე)*), მეორე ინდიკატორში (*მარტივიპრობლემატიკისირგვლივაზრისმოსმენადასწორადფორმულირება*) ბუნდოვანია,

| |
|---|
| მოსმენის რომელი კომპეტენცია იგულისხმება.<br><br>მართალია, აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაშია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ 2019 წელს შემუშავებულ „ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლებთან“, თუმცა არ არის შესაბამისობაში „ქართულიენისფლობისდონეებისზოგადიაღწერილობის“ დოკუმენტთან, რომელიც 2020 წელს დამტკიცდა საქართველოს მთავრობის დადგენილებით და რომლის მიზანია, ქართულიენისსწავლის, სწავლებისადაშეფასებისერთიანი, უნიფიცირებულისისტემისდანერგვა და რომელიც „სავალდებულოაქართულიენისსწავლის, სწავლებისადაშეფასებისკანონმდებლობითგანსაზღვრულყველაშემთხვევაში“.(https://matsne.gov.ge/ka/document/view/4908418?publication=0&scroll=545&fbclid=IwAR00-k4__sSXm-nZlX6edkj3DxFsad-0QkPktRtK5ytoD-f2otISNM4SiJQ)<br><br>მიუხედავად იმისა, რომ ენის ფლობის დონეების ზოგადი აღწერილობის დოკუმენტში ცალ-ცალკე არის წარმოდგენილი თითოეულ უნარ-ჩვევაში (მოსმენა, კითხვა, წერა, ლაპარაკი) მისაღწევი კომპეტენციები, სწავლებისთანამედროვემეთოდებიითვალისწინებსსამეტყველოუნარ-ჩვევებისინტეგრირებულადსწავლებასდაარაიზოლირებულად (განყენებულად წერის კურსი, კითხვის კურსი დამისთ.).შესაბამისად, სასურველია, განისაზღვროსკურსისმანძილზემისაღწევიკომპეტენციებიქართულიენისფლობისდონეების აღწერილობისკომპეტენციებისმიხედვით, რათა ოთხივეუნარ-ჩვევათანაბრადვითარდებოდესძირითადკურსებზე, თუმცა სილაბუსებში თანმიმდევრულად იყოს გაწერილი თითოეული უნარ-ჩვევის მიხედვის ენის ფლობის დასახულ დონეზე მისაღწევი კომპეტენციები. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>- პროგრამა<br>- სილაბუსები<br>- თვითშეფასების ანგარიში<br>- ინტერვიუს შედეგები<br>- დარგობრივი მახასიათებელი. |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>სასურველია, პროგრამის კურსებისა და სილაბუსების შინაარსისა და მისაღწევი შედეგების მისადაგება „ქართული ენის ფლობის დონეების ზოგადი აღწერილობის“ დოკუმენტთან, შეფასების უფრო დახვეწილი და გაზომვადი ინდიკატორების გამოყენებით. |

| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): |
|---|
| o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>☑**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან |

| **2.4პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება** |
|---|
| პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი**<br><br>o მოცემული პროგრამის კურსებში ჩაშენებულია დარგობრივი პრაქტიკა, ასევე ტუტორების დახმარება, რაც ხელს შეუწყობს ლექციებზე მიწოდებული მასალის პრაქტიკაში გადატანას, შესაბამისად, ტრანსფერულ უნარს და რეალური კომუნიკაციური კომპეტენციის გამომუშავებას სტუდენტებში.<br>o კვლევითი კომპონენტი ამ პროგრამით არ არის განთვალისწინებული, ვინაიდან ეს არ არის აკადემიური საფეხურის პროგრამა. სტუდენტები ქართული ენის შესწავლის ეტაპზე იქნებიან ამ პროგრამის ფარგლებში და ვერ მიიღებენ მონაწილეობას კონფერენციებში. პროგრამის ფარგლებში მხოლოდ კონფერენციებზე დასწრება არის გათვალისწინებული მოსმენის უნარ-ჩვევისა და პროფესიული ორიენტაციის მიზნით.<br>o სასურველია, ენის პრაქტიკაში გამოყენების ელემენტები (როგორც რეალური, ასევე რეალურთან მიახლოებული, სიმულაციური სიტუაციების სახით) უფრო მეტი ინტენსივობით იყოს გათვალისწინებული სასწავლო კურსებსა და სილაბუსებში. |

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- პროგრამა
- სილაბუსები
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

სასურველია, ენის პრაქტიკაში გამოყენების ელემენტები (როგორც რეალური, ასევე რეალურთან მიახლოებული, სიმულაციური სიტუაციების სახით) უფრო მეტი ინტენსივობით იყოს გათვალისწინებული სასწავლო კურსებსა და სილაბუსებში.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**

დარგობრივი პრაქტიკა უნივერსიტეტს მიღმა, ქართველი სტუდენტების ტუტორებად ჩართვა.

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

## 2.5სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის

შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი**

სილაბუსების უმეტეს ნაწილში დეკლარირებული სწავლა-სწავლების მეთოდები შეესაბამება თანამედროვე მიდგომებს მეორე/უცხო ენის სწავლებაში, რაც შეესაბამება სწავლების ამ საფეხურს და შინაარსს, კერძოდ ენის ფლობის გარკვეული დონის მიღწევას და უზრუნველყოფს შესაბამისი შედეგის მიღწევას. სილაბუსებში უმეტესწილად სწავლების ინტერაქტიული მეთოდებია გაწერილი: დემონსტირება, დისკუსია-დებატები, ჯგუფური მუშაობა, გონებრივი იერიში, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება. პროგრამასა და სილაბუსში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ინტერკულტურული კომპეტენციის გამომუშავებას და გათვალისწინებულია სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

თუმცა, ცალკეულ შემთხვევებში აცდენაა კურსის ენის ფლობის მისაღწევ კომპეტენციებთან, მაგ. კურსი „ქართული ენის სამეტყველო უნარები - მოსმენა 1.1“ ითვალისწინებს შემსწავლელის დაბალ დონეს, სადაც ენობრივი ბარიერის გამო შეუძლებელია დისკუსიის გამართვა.სილაბუსების ნაწილს აკლია ენის კურსისთვის ისეთი მნიშვნელოვანი მეთოდები, როგორიცაა წყვილებში მუშაობა, როლური თამაშები, ჯაჭვური თამაშები, რეალური სიტუაციების სიმულაციები და სხვა მსგავსი აქტივობები, რომელთა გარეშე ძნელად მიიღწევა ენის პრაქტიკაში გამოყენების უნარი.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- პროგრამა
- სილაბუსები
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია, გადაიხედოს სილაბუსები და ერთიანად შემუშავდეს სწავლების თანამედროვე მეთოდები ცალკეული დონისა და შინაარსის სილაბუსებისთვის სტუდენტის მიერ ენის რეალურად გამოყენების კომპეტენციის მიღწევის უზრუნველსაყოფად.

| |
|---|
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**<br><br>o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>o |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☑**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან |

| |
|---|
| **2.6. სტუდენტების შეფასება** |
| სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი. |
